ახალი ხარაგაული

382 (13) 9 ივლისი, 2018 წ.

იმერეთის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა ხარაგაულში დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები მოინახულა

იმერეთის-მხარის რწმუნებულმა- გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა, გრიგოლ დალაქიშვილმა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ და ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა კობა ლურსმანაშვილმა მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლებში დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერეს.

წიფაში გზა 2 500 მეტრზე მობეტონდა, ხოლო გოლათუბანში კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა გზის 2 000 მეტრიან მონაკვეთს. პროექტები მთის განვითარების ფონდიდან ნახევარ მილიონამდე ლარით დაფინანსდა.

მხარისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ნებოძირში მისასვლელი ცენტრალური გზის დასრულებული პროექტიც მოინახულეს, სადაც გზის 1 000 მეტრიანი მონაკვეთი რეაბილიტირდა. სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდიდან 159 335 ლარით დაფინანსდა.

ამავე დღეს სტუმრები და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები მოსახლეობას შეხვდნენ და მუნიციპალიტეტში დაგეგმილი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტის შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია, რომელიც ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის 50კმ. გზის მშენებლობას გულისხმობს. გაესაუბრნენ ასევე სოფელ წიფაში მცხოვრებ დემურ ქურდაძეს, რომელმაც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მცირე ბიზნესი დაიწყო და საგადასახადო შეღავათებით სარგებლობს. ქურდაძეების ოჯახი საცხოვრებლად თბილისიდან სოფელში ერთი წლის წინ დაბრუნდა.

ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მუშაობა დადებითად შეფასდა

2 ივლისს გამართულ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მუშაობის შესახებ ანგარიში მოისმინეს, რომელიც ამავე კომისიის თავმჯდომარე მალხაზ ფხალაძემ წარმოადგინა. მომხსენებელმა ვრცლად ისაუბრა იმ საკითხების შესახებ, რომლებზეც ბოლო შვიდი თვის განმავლობაში კომისიამ იმსჯელა. მალხაზ ფხალაძემ ასევე განაცხადა, რომ სისტემატურად ეცნობა სოფლებში მიმდინარე და დასრულებულ პროექტებს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი დაინტერესდა, აპირებს თუ არა კომისია იმ დოკუმენტების შესწავლას, რის საფუძველზეც ხდება მშენებარე კომპანიებისთვის ხელშეკრულების ვადების გადაწევა. ბაზალეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა პროექტების შერჩევა-შედგენისას პიროვნულ მიდგომებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მერიის მიერ წარმოდგენილ პრიორიტეტული პროექტების სამოქმედო გეგმაში საკრებულოს დეპუტატებმა საღანძილის ბაღის მშენებლობა დაამატეს, თუმცა ამ წინადადების გათვალისწინება დღემდე ვერ მოხერხდა. მან ყურადღება ასევე ქონების მოვლა-პატრონობაზეც გაამახვილა და დასძინა, რომ აუცილებელია მუნიციპალური ქონების ინვენტარიზაცია.

მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა, თემური თაბუკაშვილმა, საღანძილის ბაღის მშენებლობის ხელისშემშლელ გარემოებაზე ისაუბრა. მისივე განმარტებით, პროექტმა ექსპერტიზა ვერ გაიარა, რის გამოც მიმდინარე წელს ბაღის მშენებლობა ვერ მოხერხდა. თაბუკაშვილმა განცხადება ვადაგადაცილებულ პროექტებზეც გააკეთა და აღნიშნა, რომ ინდმეწარმეები, რომლებმაც სამუშაოები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ვერ შეასრულეს, დაჯარიმდნენ და ბიუჯეტში უკვე 33 ათასი ლარი შემოვიდა. თაბუკაშვილის ინფორმაციით, რამდენიმე კომპანიის წინააღმდეგ ამ ეტაპზე დავა სასამართლოში მიმდინარეობს და, სავარაუდოდ, მათაც დაეკისრებათ პირგასამტეხლო.

რაც შეეხება მუნიციპალურ ქონებას, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის, ჯაბა ბერაძის, განმარტებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტექნიკა აღწერილია და აუდიტორული შემოწმება ჩატარებულია. აღნიშნულის შესახებ უფრო დეტალურად ინფორმაციას ჯაბა ბერაძე საკრებულოს უახლოეს სხდომაზე წარადგენს.

დეპუტატმა თემურ ფცქიალაძემ ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის გზის დაბის ტერიტორიაზე გავლა გააპროტესტა. როგორც ბატონმა თემურმა დააანონსა,თუ საავტომობილო გზად დაბის ცენტრალური ქუჩა იქნება გამოყენებული, ადგილობრივების მიერ პერმანენტული აქციები მოეწყობა. მან ასევე მოითხოვა, პასუხისმგებელ პირებთან ერთად პროექტის საჯარო განხილვა.

მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ თოფურიძის, განმარტებით, მერია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აქტიურად მუშაობს და მაქსიმუმს აკეთებს იმისათვის, რომ გზამ დაბის ტერიტორიაზე არ გაიაროს. რაც შეეხება პროექტის გარემოზე ზემოქმედების საფრთხეებს, ამ კუთხით შეხვედრა ადმინისტრაციულ შენობაშიც გაიმართა. „ვეცდებით, მოსახლეობის ინტერესები მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული. ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში მოლაპარაკებებს ვახორციელებთ, როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, ისე საგზაო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან. მათ კარგად იციან დაბის მოსახლეობის უმრავლესობის აზრი. დაახლოებით, სამი თვის წინ ჩამოვიდნენ კიდეც და დაათვალიერეს ალტერნატიული გზები. ასევე აუცილებლად მოეწყობა პროექტის საჯარო განხილვა, აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამის უწყებებს წერილობით უკვე მივმართეთ“. - განმარტა ხარაგაულის მერმა.

ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის, კობა ლურსმანაშვილის, თქმით, ძირულა-ჩუმათელეთის გზის მშენებლობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია, რომელზეც სახელმწიფო 45 მილიონ ლარს დახარჯავს. მისივე განმარტებით, პროექტის დადებითი და უარყოფითი მხარეები აუცილებლად იქნება განხილული, რის შემდეგაც მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას - გაივლის თუ არა საავტომობილო გზა დაბის ცენტრალურ ქუჩაზე. „თუ იქნება ავტომობილების დიდი ნაკადი ან მძიმე გამავლობის მანქანები იმოძრავებენ, საკრებულოს შეუძლია დააწესოს რეგულაციები, ან სულაც გადაკეტოს გზა და ალტერნატიული მონაკვეთი შესთავაზოს, რომელსაც გადასასვლელი ექნება ბაზალეთის ხიდიდან“, - განაცხადა პარლამენტარმა.

ამავე საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული ექვსი საკითხი განიხილეს და მხარი ერთხმად დაუჭირეს. რაც შეეხება ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მუშაობას, უმრავლესობის მიერ დადებითად შეფასდა.

საბა ებანოიძემ ერთი დღე მერის ამპლუაში გაატარა

„ერთი დღით ხარაგაულის მერად“ პროექტის გამარჯვებულმა, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის მე-10 კლასისი მოსწავლემ, საბა ებანოიძემ, ერთი დღე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის ამპლუაში გაატარა.

მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე ესეების კონკურსში გამარჯვებულ, საბა ებანოიძესთან ერთად დაესწრო ოფიციალურ შეხვედრებს, შეხვდა სხვადასხვა კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეებს, გაეცნო მერიის სამსახურების მუშაობის პროცესს და დაათვალიერა მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

ამავე დღეს მერმა საბა ებანოიძეს საკუთარი ხელით გაშენებული ბაღი აჩვენა და პირადი მეურნეობა დაათვალიერებინა.

პროექტი ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინიციატივითა და მერიის მხარდაჭერით განხორციელდა.

ნიკოლოზ თოფურიძემ მადლობა გადაუხადა საგანმანათლებლო რესურსცენტრს, განსაკუთრებით კი პროექტის ავტორს, ქალბატონ ნათია კაციტაძეს, საინტერესო ინიციატივისთვის.

მერის განცხადებით, მისი ხარაგაულის მერობის 20 -თვიან პერიოდში, ეს დღე ყველაზე განსხვავებული, საპასუხისმგებლო და საინტერესო იყო.

ხელისუფლებაში სწორედ ის გუნდია, ჩოქელიც ხალხის ჰქმიღდღეობაზე ზრუნავს...

ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტი რეგიონების განვითარების ხელშეწყობა და იმ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაა, რომელიც მოქალაქეების კეთილდღეობასა და ღირსეული ცხოვრების პირობებს უზრუნველყოფს. ამ მხრივ ხარაგაულის მუნიციპალიტეტი ნამდვილად გამოირჩევა და, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლო წლების განმავლობაში აქ მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება, რომელთა მონიტორინგსაც მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური უზრუნველყოფს. აღნიშნულ სამსახურს რამდენიმე თვეა, თემური თაბუკაშვილი ხელმძღვანელობს. თემურს ამ სფეროში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. მან დაამთავრა თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემია არქიტექტურის სპეციალობით.

გაგრძელება ▶ 2 გვ.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ხელისუფლებაში სწორედ ის გუნდია, ჩოქელიჩ ხალხის კეთილდღეობაზე გჩუნაჭს...

დასაწყისი ► 1 გვ.

ამ მიმართულებით მიიღო მაგისტრის განათლებაც. სტუდენტობის პირველივე წლებიდან ჩართული გახლდათ საქართველოს არქიტექტორთა კავშირის კლუბში. პარალელურად საქმიანობდა სხვადასხვა კომპანიებში. 2015 წელს იყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი. 2017-2018 წწ. დაინიშნა ამავე სამსახურის უფროსად, ხოლო 2018 წლის 1 მარტიდან ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურს ხელმძღვანელობს. ვინ არის თემური თაბუკაშვილი, რა გზა გამოიარა დღემდე და როგორია მისი ხედვა ხარაგაულის განვითარებისთვის, ამის შესახებ პირადად გვესაუბრება:

-პროფესიის არჩევა ხატვისადმი დიდმა ინტერესმა და სიყვარულმა განაპირობა. არ ჰქონდა მნიშვნელობა -წიგნი იყო თუ რვეული, თუ სადმე ცარიელ ადგილს დავინახავდი, ყველაგან მინდოდა, დამეხატა, რის გამოც, პედაგოგები ხშირად საყვედურობდნენ ჩემს მშობლებს. მიუხედავად ამისა, ხატვის გარდა თითქმის ყველა კლასგარეშე წრეზე დავყავდი მათ. ასევე, აქტიურად ვიყავი დაკავებული სპორტით. ერთ დღეს დამოუკიდებლად მივიღე გადაწყვეტილება და მეგობარს, რომელიც ხატვას სწავლობდა, გავყევი პედაგოგთან, რომელსაც ჩემი ნამუშევარი იმდენად მოეწონა, რომ შემომთავაზა, მეც მევლო მასთან. გავიცანი შესანიშნავი ადამიანი, ბატონი ლევან ლონდარიძე, რომლისგანაც ხატვის გარდა ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. სკოლის დამთავრების შემდეგ გადაწყვეტილება, თუ სად უნდა გამეგრძელებინა საწავლა, მარტივად მივიღე. პირველივე წელს გავწევრიანდი ახალგაზრდა არქიტექტორთა კავშირში, სადაც ტექნიკური უნივერსიტეტისა და სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტები მიიწვიეს. პირველი ჩემი პროფესიული წარმატებაც ამ წლებს უკავშირდება. ახალგაზრდა არქიტექტორებს უნდა ჰქონოდათ ლოგო, რისთვისაც გამოცხადდა კონკურსი, სადაც ჩემმა ნამუშევარმა გაიმარჯვა. ეს იყო ძალიან დიდი სტიმული, დამამთავრებელი კურსის სტუდენტთა ნამუშევრებს შორის, რომლებსაც უფრო მეტი ცოდნა და გამოცდილებაც ჰქონდათ, პირველი კურსის სტუდენტის მიერ შესრულებულმა ლოგომ გაიმარჯვა. მახარებს ის, რომ ვიდრე ახალგაზრდა არქიტექტორთა კავშირი იარსებებს, ეს ლოგოც იქნება. სწავლის პერიოდში პარალელურად ვმუშაობდი სხვადასხვა სამშენებლო კომპანიაში და უკვე სტუდენტს, საკუთარი შემოსავალიც მქონდა.

მამა პროფესიით მშენებელია და ხშირად დავყვებოდი სამშენებლო ობიექტებზე. დიდი გამოცდილება შემძინა ამ კუთხით მასთან ურთიერთობამ. მახსოვს, ერთხელ დამავალა კედლის აშენება და შეცდომა დავუშვი. ექვსი მეტრის სიგრძის კედელი (ბლოკი) მეორე დღეს დამაშლევინა და ხელახლა გამაკეთებინა. იმ დღის მერე ვცდილობ, შეცდომა არ დავუშვა. ყოველთვის ბევრს ვფიქრობ, ვაანალიზებ და გადაწყვეტილებას ისე ვიღებ.

-რამ განაპირობა თქვენი ხარაგაულში ჩამოსვლა და აქ სამსახურის დაწყება, როგორც ვიცით, დღემდე გაქვთ შემოთავაზებები სხვადასხვა ცნობილი კომპანიიდან?

-ჩემი ფესვები ხარაგაულშია. მართალია, აქ არ დავბადებულვარ, მაგრამ ძალიან მიყვარს აქაურობა. ყოველთვის ვცდილობდი, არდადეგებზე ჩამოვსულიყავი, რადგან ხარაგაულში მყავს ისეთი ადამიანები, რომლებთან ერთადაც ყოფნა მახარებს. 2014 წელს, როდესაც მაგისტრატურა დავამთავრე და აქ მუშაობის შესაძლებლობა მომეცა, დიდი სიხარულით დავთანხმდი. ამ პერიოდში თბილისშიც მქონდა შემოთავაზებები სამსახურზე, ასევე კახეთში, მაგრამ ხარაგაული ვარჩიე და, ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი. დღესაც მაქვს სხვაგან წასვლის შესაძლებლობა, მაგრამ იმ გუნდს, ვისთან ერთადაც ავიღე ეს დიდი პასუხისმგებლობა, ვერ ვუღალატებ. 2016 წელს ისევ გადავედი თბილისში საზედამხედველო კომპანიაში სამუშაოდ, მაგრამ ნიკოლოზ თოფურიძემ უკან დაბრუნება შემომთავაზა. რეკომენდაცია გამინია ყოფილმა გამგებელმა და დღევანდელმა ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა კობა ლურსმანაშვილმა, რისთვისაც მინდა, მადლობა გადავუხადო. სწორედ მისი დამსახურებით დავიწყე თავდაპირველად აქ მუშაობა და ძალიან დიდი ცოდნა და გამოცდილება შევიძინე. ცოტა გასაკვირი იყო მაშინ ჩემთვის, როდესაც ბატონმა ნიკომ, სრულიად უცხო ადამიანს, ნდობა გამომიცხადა და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამსახურის ხელმძღვანელობა შემომთავაზა. თუმცა დღეს ვიცი, რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება. ვხედავ, თუ როგორ მნიშვნელოვანია მისთვის ახალგაზრდა, ენერგიული და კვალიფიციური კადრების შერჩევა.

-სამსახურის სწორად მართვა დიდად საპასუხისმგებლო და შრომატევადია, როგორ შეაფასებთ თქვენს საქმიანობას?

-ძლიერი და უღალატო, საქმის ერთგული ადამიანები, მუშაობენ ჩემ გარშემო. მათი თავდადების გარეშე წარმატების მიღწევა შეუძლებელია. დაუზარებლად აკეთებენ საქმეს. არ აქვს მნიშვნელობა, როგორი ამინდია, უამინდობაშიც ხშირია შემთხვევა, ერთი გზიდან მოსულები, სხვა მიმართულებით წასულან. საქმე ძალიან ბევრია. გასულ წელს 26 სოფელში, წელს კი 24 სოფელში იგება გზებზე ბეტონის საფარი. მიხარია, რომ ასეთ პერიოდში მომიწია მუშაობა და ვცდილობ, ისე გადავდგა ყოველი ნაბიჯი, შეცდომა არ დავუშვა. ყველაფერს ვაკეთებთ მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით და ვუსმენთ მათ მოსაზრებებს.

-რას გვეტყვით სამომავლო გეგმებზე?

- ხარაგაულის მუნიციპალიტეტში კიდევ ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება იგეგმება. სარეაბილიტაციოა შენობა-ნეგებობები, როგორც დაბაში, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულებში. გასაკეთებელია ხიდ-ბოგირები; სასურველია, აშენდეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები იმ ადმინისტრაციულ ერთეულებში, სადაც ამის საჭიროებაა. დაბის იერსახე მნიშვნელოვნად არის შესაცვლელი, მაგრამ ის, რომ დაბაში შენობები შევღებოთ, ფასადები განვაახლოთ და რომელიმე სოფელს მისასვლელი გზა არ ჰქონდეს, ამას ვერ გავაკეთებთ. მნიშვნელოვანია საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება რეგიონებში, ამას ბევრი სიკეთის მიტანა შეუძლია მოქალაქეებამდე. ამიტომ მკვეთრად გვაქვს განსაზღვრული პრიორიტეტები და ამ გეგმით მივყვებით ინფრასტრუქტურულ მიმართულებას. ხშირად ისმის, თითქოს ყველაფერი უხარისხოდ და ერთჯერადად კეთდება, მაგრამ მინდა, გულწრფელად დავარწმუნო ყველა, რომ ეს ასე არ არის. პირიქით, ფუნდამენტიდან ვიწყებთ კეთებას. საძირკველი უნდა იყოს ძლიერი, რათა მომავალმა თაობებმა უფრო მყარად შეძლონ დაშენება. სახელმწიფოს ხედვაც ესაა, ხარისიანი და საფუძვლიანი შენება.

ძალიან ბევრი იდეა და გეგმა მაქვს მუნიციპალიტეტისთვის, რაც უპირველესად ხალხის კეთილდღეობაზეა მორგებული. ესთეტიკური სილამაზე აუცილებელია, მაგრამ ამ ეტაპზე უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებია მოსაგვარებელი. ეტაპობრივად დაბის იერსახეც შეიცვლება და გალამაზდება. დაგეგმილია ხარაგაულის კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია, მოეწყობა ბავშვთა გასართობი მოედნები, განახლდება სკვერები, ტროტუარები და ძველი შენობა-ნაგებობები. მნიშვნელოვანია, გაკეთდეს საკანალიზაციო სისტემა. მიმდინარეობს მოლაპარაკებები გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან და გვპირდებიან, უახლოეს პერიოდში საკანალიზაციო სისტემის მოწყობას. მოსაწესრიგებელია სარკინიგზო ბაქნები სოფლებში, რის შესახებაც გავაგზავნეთ მიმართვა რკინიგზის დეპარტამენტში. მთავარია, მოსახლეობამ გააცნობიეროს, რომ ყველაფრის ერთად გაკეთება შეუძლებელია. ხელისუფლებაში დღეს ნამდვილად არის ის გუნდი, რომელიც ხალხზე და მათ კეთილდღეობაზე ზრუნავს. ყველამ ჩვენი საქმე ხარისხიანად უნდა ვაკეთოთ, რაც კარგ შედეგს აუცილებლად მოგვიტანს და ქვეყნის განვითარებაც საგრძნობლად წინ წავა.

ლელა გუგულაშვილი

საკრებულოს სხდომაზე ა(ა)იპ- ების რეორგანიზაციის შედეგები მოისმინეს

2 ივლისს გამართულ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა ა(ა) იპ-ების რეორგანიცაზიის შედეგები მოისმინეს, რომელსაც ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი, მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე და ა(ა) იპ-ის დირექტორები ესწრებოდნენ. სხდომაზე ასევე იმყოფებოდნენ ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების“ ცენტრიდან გათავისუფლებული თანამშრომლები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათი დათხოვა უკანონოდ მოხდა და სამსახურში დაბრუნებას მოითხოვენ.

ფარცხნალის მაჟორიტარი დეპუტატის, მიხეილ ჭიპაშვილის, თქმით, როცა (ა)იპ-ებში რეორგანიზაციის დასაწყებად საკრებულოს უმრავლესობამ თანხმობა მისცა მერიას, თავშივე უნდა ჰქონოდათ გათვითცნობიერებული ამას შტატების შემცირება, რომ მოჰყვებოდა. მისივე განმარტებით, იყო დაპირება, რეორგანიზაციის შედეგად 200 000 ლარი დაიზოგებოდა, თუმცა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ აღნიშნული საკითხი დეტალურად არ შეისწავლა, თუ საიდან იგეგმებოდა ამ თანხების გამოთავისუფლება.

ვარლამ ჭიპაშვილის განმარტებით, სამართლებრივი თვალსაზრისით საკრებულომ თანხმობა მისცა მერიას ა(ა) იპ-ებში რეორგანიცაზიისათვის, შემდგომ განსახორციელებელი ღონისძიებები კი მერიის პრეროგატივა გახლდათ. მისივე განმარტებით, ა(ა) იპ-ის დირექტორი მერთან შეთანხმებით ამტკიცებს საშტატო ნუსხას და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია წინასწარ ვერ დაითვლიდა, საიდან იგეგმებოდა თანხების გამოთავისუფლება. ჭიპაშვილი აქვე აცხადებს, რომ მათ მხარი დაუჭირეს თანხების ეფექტურად ხარჯვას და არა თანამშრომლების სახლში გაშვებას.

მსგავსი პოზიცია დააფიქსირა საღანძილის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით კიკნაძემ და აღნიშნა, რომ ყველაზე დაბალი რანგის თანამშრომლებს არ უნდა შეხებოდა რეორგანიცაზია. დეპუტატმა ასევე ზოგიერთ ა(ა) იპ-ში მომატებულ ხელფასებზეც ისაუბრა.

როგორც „ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის“ დირექტორი ნიკოლოზ მაჭავარიანი განმარტავს, გათავისუფლებული თანამშრომლები ნაკლებად პროდუქტიულები იყვნენ სხვებთან შედარებით, რის გამოც მოხდა მათი სამსახურიდან დათხოვა. „თანამშრომელთა გაშვება საკმაოდ რთული იყო ჩემთვის. მიუხედავად მათი დიდი პატივისცემისა, ეს გადაწყვეტილება მივიღე, რადგან ზოგიერთ მათგანს სამსახურში ფუნქცია არ ჰქონდა. აქვე გავაკეთებ განმარტებას ანსამბლ „ოდილაზე“, რომელსაც დაფინანსება არ შეწყვეტია. მათი ასაკისა და ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, რადგან სამსახურებრივ საქმიანობაში ყოველდღიურ ჩართვას ვერ ახერხებდნენ, შემუშავდა სპეციალური პროგრამა, რის მიხედვითაც ისინი აიღებენ ანაზღაურებას“, - განმარტა ნიკოლოზ მაჭავარიანმა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ თოფურიძის, განცხადებით, რეორგანიზაციის შედეგად გამოთავისუფლებული თანხები რა რაოდენობისაა და სად მიიმართება, ამაზე ჯერჯერობით შესაბამისი სტრუქტურები მუშაობენ. მისივე განმარტებით, პერიოდულად აუცილებელია კადრების გადახალისება, რათა სამსახურების საქმიანობა უფრო ეფექტური და მოსახლეობის მოთხოვნებზე მორგებული იყოს. „გაერთიანებულ ა(ა) იპ-ებს ჰყავთ დირექტორები და ისინი თავად იღებენ გადაწყვეტილებებს, შექმნან ისეთი მენეჯმენტი, რომელიც თანამშრომელთა პროდუქტიულობაზე იქნება ორიენტირებული“, - დასძინა ხარაგაულის მერმა.

მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი, ამბობს, რომ რეორგანიზაცია მტკივნეული პროცესია და გადაწყვეტილებები ინდივიდუალურად არ უნდა იქნეს მიღებული. პარლამენტარის თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მერიამ და საკრებულომ კონსტრუქციულად უნდა იმუშაონ. ლურსმანაშვილი წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილებების გაფართოებაზეც საუბრობს და აცხადებს, რომ შიდა აუდიტის სამსახური საკრებულოს დაქვემდებარებაში უნდა გადავიდეს, რადგან ნაკლებია იმის შესაძლებლობა, მერიის მიერ დაფუძნებულმა სამსახურმა გააკონტროლოს მერიისა და მისი სამსახურების საქმიანობა.

ეკა შავიძე

ვერტყვიჭალის კალათბურთელ გოგონათა გუნდი იმერეთის ჩემპიონი გახდა

22 ივნისს ქუთაისში კალათბურთში გოგონებს შორის იმერეთის ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა გაიმართა. შეჯიბრზე ერთმანეთს ქუთაისისა და ხარაგაულის გუნდები დაუპირისპირდნენ. ხარაგაულის გუნდს სოფელ ვერტყვიჭალის კალათბურთელ გოგონათა გუნდი (მწვრთნელი ნუგზარ კაპანაძე) წარმოადგენდა. თამაში მეტად საინტერესოდ წარიმართა და დამსახურებული გამარჯვება ვერტყვიჭალელებმა მოიპოვეს, რომელთაც გარდამავალი თასი, მედლები და სიგელები გადაეცათ. ანგარიში 80:69 დასრულდა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე ჩემპიონ გოგონებს პირადად შეხვდა, გამარჯვება მიულოცა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

ჩემპიონატი „ საქართველოს კალათბურთის ფედერაციისა “ და „იმერეთის კალათბურთის ფედერაციის “ მხარდაჭერით განხორციელდა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი მნიშვნელოვან პროგრამას ახორციელებს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით არაერთ მნიშვნელოვან პროგრამას ახორციელებს. ცენტრი თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიური და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს პროფილაქტიკური ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას, ასევე გადამდები და არაგადამდები დაავადებების კონტროლსა და სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობას. გარდა ამისა, აღნიშნული სამსახურის ინიციატივით, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და პრევენციის მიზნით, სისტემატურად ხორციელდება უფასო სკრინინგ პროგრამა. უფრო დეტალურად, თუ რა სიახლეებს სთავაზობს ადგილობრივებს ხარაგაულის ჯანდაცვის ცენტრი, ამის შესახებ ცენტრის დირექტორი შმაგი ხიჯაკაძე გვესაუბრება:

„დღესდღეობით ვირუსული დაავადებები ძალიან გახშირდა, ამიტომ ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტ მოქალაქეს ჰქონდეს იმ სერვისებზე ხელმისაწვდომობა, რასაც მათ სახელმწიფო სთავაზობს. ეს საკმაოდ საშიში დაავადებებია და ბოლო წლებში ბევრი ადამიანის სიცოცხლეც იმსხვერპლა. დღეს კი უკვე სახელმწიფო უზრუნველყოფს აღნიშნულ ვირუსებზე უფასო გამოკვლევას. ამ უფლებით სარგებლობენ, როგორც საქართველოს მოქალაქეები, ისე საქართველოში დროებით მყოფი პირები. გასულ წელს C ჰეპატიტზე 1484 პიროვნებას ჩავუტარეთ გამოკვლევა და დაავადება თოთხმეტ მათგანს აღმოაჩნდა. მიმდინარე წელს კი 428 პაციენტი გაისინჯა და შვიდი მათგანი იყო C ჰეპატიტის მატარებელი. აღსანიშნავია, რომ შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ ხარაგაულის სამედიცინო დაწესებულების მხარდაჭერით, პაციენტებს ადგილზე უტარდებათ ლაბორატორიული კვლევები. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს სახლიდან გაუსვლელად შეუძლიათ გლუკოზის დონის განსაზღვრა, ასევე სისხლისა და შარდის ანალიზების ჩატარება. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ელექტროკარდიოგრამის გადაღება. გამოკვლევის შედეგები გადაეცემათ უბნის ექიმებს, რომლებიც ახდენენ მკურნალობას.

ხშირია კიბოთი დაავადების შემთხვევები. აქედან გამომიდინარე, ჩვენი სამსახურის ორგანიზებით სამედიცინო კორპორაცია ევექსის დასავლეთ საქართველოს ონკოლოგიურ კვლევით ცენტრში სისტემატურად ვატარებთ უფასო სკრინინგს. კერძოდ, გამოკვლევები მოიცავს: ძუძუს კიბოს სკრინინგს - 40-50-წლის ქალებში; საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგს-25-60 წლის ქალებში; პროსტატის კიბოს სკრინინგს - 50-70-წლის მამაკაცებში. მნიშვნელოვანია, რომ ბენეფიციარების უფასო ტრანსპორტირება დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს უფროსის, გოჩა გიორგიძის, ძალისხმევით ხორციელდება. სკრინინგმა თითქმის მთელი მუნიციპალიტეტი მოიცვა და რამდენიმე ადამიანს დახმარება დროულად გაეწია.

პირველი მაისიდან კონტროლს ვუწევთ ასევე თამბაქოს მოხმარების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას და სხვადასხვა დაწესებულებაში ვატარებთ მონიტორინგს. ვამოწმებთ, აქვთ თუ არა მოწევის ამკრძალავი ნიშანი და ადგილი, სადაც პიროვნება თამბაქოს მოიხმარს, იცავს თუ არა დადგენილ სტანდარტებს. კანონის თანახმად, სამედიცინო სასწავლო და სააღმზრდელო დაწესებულების ეზოშიც კი იკრძალება თამბაქოს მოხმარება.

-რამდენად ინფორმირებულია საზოგადოება იმ პროგრამების შესახებ, რომლებიც უშუალოდ თქვენი სამსახურის ორგანიზებით ხორციელდება?

-საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლები ინტენსიურად ატარებენ ლექცია-სემინარებს, რომელიც არა მხოლოდ დაბას, არამედ სოფლებსაც მოიცავს. გარდა ამისა, თითქმის ყველა აქტივობა ადგილობრივი მედიის საშუალებით შუქდება, რაც მისასალმებელია. სემინარები ჩატარდა პაპილომა ვირუსზე, არტერიულ ჰიპერტენზიაზე და სხვა მნიშვნელოვან პროგრამებზე, რაც აუცილებელია, იცოდეს მოსახლეობამ.

-როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

-გასულ წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლებში, პრევენციის მიზნით, სმენადაქვეითებულ ბავშვთა გამოსავლენად შვედმა ექიმებმა კვლევები ჩაატარეს. შემოწმდა 900-მდე პიროვნება, ძირითადად აქცენტი კი 1-4 კლასის მოსწავლეებზე გაკეთდა. ამათგან 112 ადამიანს სმენის პრობლემის სხვადასხვა სტადია დაუდგინდა და შვედი ექიმების მიერ სასმენი აპარატები უფასოდ გადაეცათ, მისი ღირებულება დაახლოებით 130 000 ლარს შეადგენდა. ვცდილობთ, ეს პროექტი მიმდინარე წელსაც განხორციელდეს. რა თქმა უნდა, სხვა ასაკობრივ ჯგუფზე, რომელშიც, შესაძლოა, გათვალისწინებული იყოს სკოლამდელი დაწესებულების აღსაზრდელები. ასევე ვგეგმავთ ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევებს. თუ ეს პროექტი განვახორციელეთ, მართლაც წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, რადგან საქართველო იოდდეფიციტის ენდემურ ზონადაა მიჩნეული და ხარაგაულში ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია.

ეკა შავიძე

„განავითარე შენი რეგიონი“

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით პროექტის „განავითარე შენი რეგიონი“ ფარგლებში საჯარო სკოლების მოსწავლეებმა მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, ტურიზმის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების თემაზე ის იდეები წარმოადგინეს, რომლის განხორციელებასაც ისურვებდნენ საკუთარ რაიონში. ღონისძიების მუსიკალურ მხარეზე ხარაგაულის ბენდი და ინდივიდუალური შემსრულებლები ზრუნავდნენ. პროექტს „სტუდენტური პარლამენტი“ და „საქართველოს დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანება“ ახორციელებს, რომლის მთავარი მიზანი საქართველოში არაფორმალური განათლების პოპულარიზაციაში განსაკუთრებული წვლილის შეტანაა. პროექტის ხელმძღვანელმა გიგა გლუნჩაძემ მადლობა გადაუხადა ახალგაზრდებს საინტერესო იდეებისთვის და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს – მხარდაჭერისათვის. მისივე თქმით, საზაფხულო პროგრამის მონაწილეები დაუვიწყარ დღეებს გაატარებენ საზაფხულო ქალაქში, რომელიც ქობულეთში, კინტრიშის ხეობაში, შენდება.

ღონისძიებას ხარაგაულის მერი ნიკოლოზ თოფურიძე, მოადგილე თემურ ჩხეიძე და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ. როგორც ნიკოლოზ თოფურიძემ შეხვედრაზე აღნიშნა, ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტი ახალგაზრდების მხარდაჭერა და მათი იდეების გათვალისწინებაა.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მომავალი თაობა ასე აქტიურად არის ჩართული საკუთარი რაიონის ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ და ტურისტულ განვითარებაში. ხარაგაული ნამდვილად ნიჭიერების ბუდეა, რასაც ხელშეწყობა და დაფასება სჭირდება. მომავალი წლიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ახალგაზრდების სპორტულ და კულტურულ განვითარებას. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტი უფრო მიმზიდველი გახდეს, არა მარტო აქ მცხოვრებთათვის, არამედ იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც აქედან წავიდნენ“. - აღნიშნა მერმა.

პროექტი „განავითარე შენი რეგიონი“ მეორე სეზონია, რაც მიმდინარეობს და მასში უკვე 63 მუნიციპალიტეტიდან 25 ათასი ახალგაზრდაა ჩართული.

ლელა გუგულაშვილი

,,ოქტომბერში თუ ჩვენს მსარეს გაგივლიპ''...

ახალგაზრდობიდან აკვიატებული მაქვს დიდებული პოეტის დიდებული სტრიქონები: ...„დავეძებ ღვთიურ ჰარმონიას, ჰანგად დარხეულს, დავეძებ ტაძარს ღვთაებისას და ვითხოვ შველას“... დავეძებ და... ამდენი ხეტიალის განმავლობაში, იშვიათად, მაგრამ მაინც წავაწყდები მსგავს ჰარმონიას. ზემო სვანეთში, უშგულში, ყინულის კედლად აღმართული შხარას პირდაპირ არანაკლებ რელიეფურად გამოკვეთილი, დიდებული ლამარია - განა ღვთიური ჰარმონია არ არის? მყინვარწვერის კალთებთან წამომართული სამების ტაძარი თავისი რენესანსული მასშტაბით ტოლს რომ არ უდებს ესოდენ გოროზ ბუნებას - განა ღვთიური ჰარმონია არ არის? სვეტიცხოვლის დედატაძრის ვერტიკალურ ჭრილში აღმართული ჩვენი იდენტობის დასტური, ჯვრის მონასტერი - განა ანალოგიური ჰარმონია არ არის?

ბუნებისა და ადამიანის ხელთქმნილობათა თვალთშეუდგამი, მსგავსი სინერგიზმი ის არქეტიპია, რომელზეც დგას ქართველთა სამიათასწლოვანი სულიერება. თუ არა მსგავსი სინერგიზმი, ფრიად საეჭვოა, შექმნილიყო რენესანსის საწყისი წყარო დიდი რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ სახით, ანდა ვაჟა-ფშაველას საკაცობრიო ფილოსოფია, ზღვა მეტაფორების საბურველში გახვეული („რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოვედ წვიმადა“...).

არ ვაჭარბებ, ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში, აგერ ახლა, კიდევ ერთხელ შევეხე მსგავს ჰარმონიას. და ეს მოხდა საპოვნელა - ყვავილებით მოჩითულ იმერეთის ერთ კუთხეში. ამ კუთხეს კოზმანის მთა ეწოდება (ხარაგაულის მუნიციპალიტეტი). თითქმის 130 მილიონი წლის წინათ შექმნილ კირქვულ დანალაქებზე შრიალებს ფართოფოთლოვანი ტყე, მასში „ ჩაწინწკლული“ სოფლები იმერული ოდა-სახლებით (მათ შორის ისტორიული ღირებულებისაა - სოფელი ამაშუკეთი). კოზმანის მთაზე, ზღვის დონიდან 740 მეტრზე, აგებულია ამავე დასახელების სალოცავი. ეს ის „ადგილის დედაა“ , სადაც ლოცულობდნენ ჯერ კიდევ წარმართები, მე-14 საუკუნიდან მან მიიღო თანამედროვე სახე და ახლა, ქრისტიანულ

ტრადიციებს ეზიარებიან მომლოცველები. კოპწია ტაძრიდან იშლება კირქვული კანიონის პანორამული, ტანში ჟრუანტელის მომგვრელი ხედი, მანამდე გვხვდება 210 მეტრი სიგრძის ულამაზესი კარსტული პეიზაჟებით დამშვენებული მღვიმე. ყველაფერი ეს რეალურთან ერთად, ლეგენდების ბურუსში ხვევს აქაურობას... რას მოვისაზრებდი, ერთი ლეგენდა სულ რაღაც წუთებში წინ მელოდა...

2018 წლის 1 ივლისს კოზმანის სალოცავის მისადგომებთან, გრუნტის გზაზე, გაიმართა გრანდიოზული მასშტაბის ღონისძიება. ამ დიდებულ ღონისძიებას უძღვებოდა შეუდარებელი მსახიობი-წამყვანი, ქალბატონი იზა ვეფხვაძე (მონო სპექტაკლი მიეძღვნა თქვენს მონა-მორჩილს).

ერთხელ კიდევ შევახსენებ სრულიად საქართველოს მოსახლეობას, ქართველი ეროვნების მატარებელ მოქალაქეებს ახლო თუ შორეულ უცხოეთში, ვინ არის ქალბატონი იზა. ეს არის უზადო გარეგნობის ქალბატონი, უზადო სულიერებით, უზადო გონიერებით, უზადო ენთუზიაზმით, უზადო პატრიოტიზმით და ... უზადო n - ჯერ!!!

ქალბატონმა იზამ ანალოგიური, იგივე მონო სპექტაკლი აპრილის თვეში ჩაატარა თბილისში, მოსწავლეთა ეროვნულ სასახლეში. მაგრამ თუ რას ნიშნავს იგივე სპექტაკლი წარმოადგინო ხარაგაულის ტოპოგრაფიულად ყველაზე მაღალ გარემოში, დამერწმუნებით, ეს სულ სხვა გზითა და ხერხით გადასაწყვეტი პრობლემაა. ფაქტობრივად გრუნტის სამანქანო გზაზე მოაწყო 150-200 კაციანი ამფითეატრი, შეიყვანო ელექტროენერგია სპექტაკლის გასახმოვანებლად, უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს. შეიძლება ეს სცენა წინასწარ იყო მოფიქრებული, მაგრამ „ღვთიური ჰარმონია“ ვერ შეიქმნებოდა, თუ არა ერისა და ბერის შესატყვისი გაერთიანება. მაგრამ მხოლოდ სცენარის ტოტალური ძალისხმევით განხორციელება ვერავითარ შემთხვევაში ვერ შექმნიდა თვითკმაყოფილების, თვითდაჯერების, რწმენის უდიდეს პატრიოტულ განწყობილებას თუ არა იმპროვიზებულად შექმნილი მთელი რიგი სიტუაცია, რასაც ასე უხვად ჰქონდა ადგილი...

... თურმე შესაძლებელია ორ საათ-ნახევრის განმავლობაში ვიყო ქართველი ანთროპოლოგიურადაც და სულიერადაც, სწორედ მსგავსი ძალისხმევები გახდის შესაძლებელს უკუაგდოს არაერთმა ქართველმა ნიჰილიზმიც, აპატიაც და ნოსტალგიაც.

უღრმესი მადლობა მამა პეტრეს - კოზმანის სალოცავის თავკაცს, რომელმაც ერთი კვირის განმავლობაში ყველაფერი იღონა ამ წარმატებული დღის ასე მშვენივრად დაგვირგვინებაში. თითქოსდა სხვანაირად არც შეიძლებოდა მისი ბიბლიური მოგვის სახიდან გამომდინარე.

უღრმესი მადლობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თავკაცებს, რომელებიც უკლებლივ ჩართული იყვნენ ამ დიდებული დღის ესოდენ ლამაზად დამთავრებაში.

უღრმესი მადლობა მობრძანებულ მრევლს ადგილობრივი სალოცავისა, სტუმრებს თბილისიდან, კახეთიდან, იმერეთის სხვა რაიონებიდან... მათაც, ვისაც გულით სურდა დასწრებოდა ამ დღეს, მაგრამ მიზეზთა და გარემოებათა გამო ვერ შეძლეს ჩამობრძანება.

უღრმესი მადლობა ადგილობრივ ახალგაზრდობას, ქართული დროშებით ხელდამშვენებულებს, რომელთათვისაც, მეტწილად მნიშვნელოვანი იყო ეს საღამო...

• გონიერებისა და ზნეობის ზეობის ამ გამოხატულებას ერთი წინადადებით ვუწოდებდი „ბედი შექმნილი ჩალისფერ დროშით და ნინოს თმებით შეკრულ ჯვარითა“...

• „შეჩერდი, წამო!“ რამდენი ინატრებდა მსგავს შეგონებას, თუმცა ორ საათნახევრიანი საღამოს თითოეული წამი შესაჩერებელი იყო...

• პერიფრაზი: ივლისის თვეს თუ ამ მთაში გაგივლია, მსგავს გარემოში, მაგრამ უეჭველად მსგავსი სპეკტაკლისას, ბევრი იპოვის სანატრელ საპოვნელას, ამ შემთხვევაში გადატანითი მნიშვნელობით...

• საღამოს სუფრა (პურისჭამა) აკურთხა მამა პეტრემ, პურისუფლობა ითავა ჩემმა ძმამ და მეგობარმა რეზო სულავამ.

P.S. იმავე დილით, ვერყვიჭალაში, არც ისე შორს მთა კოზმანიდან რესტორან „მარანის“ თავკაცმა, დიდებულმა პროფესიონალმა, ორგანიზატორმა და ბიზნესმენმა - პაატა ჭიპაშვილმა - შემოგვთავაზა ბრწყინვალე საუზმე თავის მეუღლე, ქ-ნ თამართან ერთად. ეს რესტორანი მხოლოდ კუჭის საკვები ნამდვილად არ არის, იგი უდიდესი გემოვნებით არის გაწყობილი და მორთული მრავალსაუკუნოვანი საყოფაცხოვრებო ნივთებითა და სხვა აქსესუარებით. მათ უდიდესი შემეცნებითი ღირებულება გააჩნია - რას წარმოადგენს და წარმოადგენდა საქართველოს თვალმარგალიტი - იმერეთი! მალე აქ საკონფერენციო- დარბაზი მოეწყობა!!

არნოლდ გეგეჭკორი
თსუ სრული პროფესორი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მოგზაური, ბიოგეოგრაფი

ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონის" ფინალში ლიზა ბარბაქაძე საუკეთესო ათეულში მოხვდა

26 ივნისს რუსთაველის თეატრში საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონის“ გრანდიოზული ფინალი გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობას სამოცდათვრამეტი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი იღებდა. ხარაგაულის სახელით კი დაბის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლე ლიზა ბარბაქაძე იყო წარმოდგენილი, რომელმაც მუნიციპალიტეტში გამართულ „ეტალონში“ მაქსიმალური ქულები დააგროვა. გარდა ამისა, ლიზამ ეტალონის ნახევარფინალზე, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში

ჩატარდა, მეოთხე ადგილი დაიკავა.

დაძაბული თამაშის შემდეგ 2018 წლის „ეტალონი მოსწავლე“ თბილისის N155 საჯაროს სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე ლაზარე ბედუკაძე გახდა, რომელსაც ფულადი პრიზი გადაეცა. იგი ასევე კომპიუტერული ტექნიკით დაჯილდოვდა.

სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტი „ეტალონი“ 12 წელია არსებობს და 2014 წლიდან საქართველოს რეგიონებში გავიდა ახალი, ნოვატორული სტრატეგიით, რაც გულისხმობს ყველა მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქში კონკურსების არასატელევიზიო ფორმატით ადგილებზე გამართვას.

შეგახსენებთ, რომ ხარაგაულიდან ლიზა ბარბაქაძის მხარდასაჭერად ოჯახის წევრებთან ერთად, საკრებულოს თავმჯდომარე, მანანა ბარბაქაძე საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, მარინე ვეფხვაძე, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დავით კიკნაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

ეკა შავიძე

ატესტატების გაცემა დაიწყო

სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატებისა და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სერტიფიკატების საყოველთაო გაცემა დაიწყო. დაინტერესებულმა პირებმა, დოკუმენტების მიღების მიზნით, უნდა მიმართონ სახელმწიფო სერვისების განვითარების ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს, საზოგადოებრივ ცენტრებს ან იუსტიციის სახლებს.

დოკუმენტების გაცემა ხორციელდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ფორმირებული მონაცემთა ელექტრონული ბაზის საფუძველზე.

პირველადი ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა მე-10 სამუშაო დღეს უფასოა.

მიწის რეგისტრაციის გამარტივება იგეგმება

პროცედურები, რომელიც მიწის რეგისტრაციას უკავშირდება, შესაძლოა, კიდევ უფრო გამარტივდეს. როგორც საჯარო რეესტრის იურიდიული დეპარტამენტის ადმინისტრაციული წარმოების სამსახურის უფროსი ვახტანგ ბოხაშვილი აცხადებს, აღიარების კანონში შევა ცვლილებები, რომელიც გაამარტივებს ცარიელ, ე.წ. მამა-პაპისეულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების პროცედურას. ამის შესახებ პარლამენტმა უკვე იმსჯელა. ამჟამად კომისია გარკვეული პირობებით არის შეზღუდული, კერძოდ, რეგისტრაციისათვის აუცილებელია მიწის ნაკვეთზე იდგეს შენობა-ნაგებობა, ან იყოს უკვე კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე. პრაქტიკამ აჩვენა, რომ იმ მოქალაქეების რიცხვი, ვინც ამ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს, საკმაოდ დიდია. ამიტომ საპარლამენტო მოსმენების დროს გაცხადებული იქნა იმის შესახებ, რომ აღიარების კანონში ცვლილებები შევა, რომელიც გაამარტივებს მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების პროცედურას და კომისიას მიეცემა უფლება, ცარიელი მიწის ნაკვეთები დააკანონოს, თუ დადგინდება, რომ წლების განმავლობაში ის კონკრეტული პირების საკუთრებაში იყო. კომისია ასევე ვალდებულია, ამ მიზნით ადგილზე გავიდეს და საკითხი დეტალურად შეისწავლოს. მეზობლების გამოკითხვით და სხვადასხვა მექანიზმით დაადგინოს, რომ მიწის ნაკვეთი, ათეული წლების განმავლობაში კონკრეტული პირის, ან მისი ოჯახის მფლობელობაში იმყოფება.

მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსი დამატებით რამდენიმე მოქალაქეს მიენიჭა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელზეც განიხილეს სამი მოქალაქის – ნანა კოტრიკაძის, როზა ჯოხაძისა და ლალი ნოზაძის განცხადება – მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების თაობაზე. კომისიამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილება მიიღო. ამავე სხდომაზე იურიდიული მისამართის შეცვლის გამო მაღალმთიან დასახლებაში ცხოვრების სტატუსი შეუწყდა მარიამ ხარშილაძეს.

აღნიშნული საბჭო განიხილავს ინდივიდუალურ განცხადებებს და გასცემს რეკომენდაციებს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის თაობაზე. საბოლოო გადაწყვეტილებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი იღებს და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა

ხარაგაულის საკრებულოს სხდომათა დარბაზში კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“ წარმომადგენლები მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს (თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე) შეხვდნენ. შეხვედრა პროექტის - „ვიშეგრადის გამოცდილების შესწავლა ადგილობრივ დონეზე თანაბარი, ინკლუზიური და დემოკრატიული მმართველობის ადვოკატირებისთვის“ -ფარგლებში მოეწყო. ფონდის წარმომადგენლებმა ემა კამკიამ და ექსპერტ-კონსულტანტმა ნანა რობაქიძემ საბჭოს წევრებს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში დანერგილი გენდერული მიდგომები გააცნეს და განმარტეს , თუ რა მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ თვითმმართველობაში გენდერული პოლიტიკის დანერგვას. შეხვედრაზე საუბარი შეეხო, თუ რა ასპექტებს მოიცავს გენდერული ბიუჯეტირება. აქვე აღინიშნა, რომ დაფინანსდეს ისეთი ინიციატივები, რომლებიც ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას შეუწყობს ხელს. რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრის დირექტორმა, იზა ვეფხვაძემ საბ-

ჭოს შესთავაზა ინიციატივა, რომ მისი რესურსები გამოყენებულ იქნეს საბჭოს მიერ.

ხათუნა მანჯავიძის თქმით, გენდერული საბჭო მისთვის საუკეთესო ტრიბუნაა, სადაც შეძლებს საკუთარი ინიციატივების დაფიქსირებას და მხარდაჭერის მოპოვებას მათ განსახორციელებლად.

როგორც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი გენდერულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში ინგა ბერაძე განმარტავს, გენდერული საბჭო არის სერიოზული ინსტრუმენტი იმისათვის, რომ მოხდეს ბიუჯეტის დაგეგმვა მოსახლეობისთვის სასარგებლო სერვისების ინიცირებით. „ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობას, რომლებიც გვაძლიერებენ. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ა/ო „ქალთა საინფორმაციო ცენტრს“, giz გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციას და ფონდ „სოხუმს“, რომლებიც ჩვენი პარტნიორები არიან. ვფიქრობ, მათთან ურთიერთობის რეჟიმში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო მნიშვნელოვან შედეგებზე გავა.“ - აღნიშნა ინგა ბერაძემ.

ამ ეტაპზე ხარაგაულის გენდერული საბჭო 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმაზე მუშაობს და მას რეკომენდაციას უწევს არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“.

„მხიარული ციცინათელები“

ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში დამამთავრებელი ჯგუფების საზეიმო ღონისძიება მოეწყო, რომლის ფარგლებში ჩატარდა ფესტივალი „მხიარული ციცინათელები“. აღსაზრდელებმა მოინახულეს ხარაგაულის ისტორიული მუზეუმიც, ამის შემდეგ კი კინოთეატრის ფოიეში გადაინაცვლეს, სადაც პატარების მიერ შესრულებული ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. დიდი სიამოვნება განიცადა დამსწრე საზოგადოებამ რიტმული ცეკვების კონკურსით, „მოცეკვავე ონავრები“. გაერთიანების დირექტორმა მამუკა ჭიპაშვილმა მადლობა გადაუხადა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს მხარდაჭერისთვის, პედაგოგებსა და აღსაზრდელებს - წლის განმავლობაში გაწეული დაუღალავი შრომისთვის. მერიის კულტურის სამსახურისა (უფროსი ირინე ჩხეიძე) და სპმთპ ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის (თავმჯდომარე ლალი ვაქერ-სებისკვერაძე) ინიციატივით, კონკურსის დასასრულს ბაღების გაერთიანება აღსაზრდელებს ტკბილეულით გაუმასპინძლდა. მათ ასევე გადაეცათ ფასიანი საჩუქრები, რომელთა შეძენა მერის წარმომადგენელმა დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში ბაქარ ბარბაქაძემ უზრუნველყო. გარდა ამისა, ფესტივალში აქტიური მონაწილეობისთვის სიგელებით დაჯილდოვდნენ პედაგოგები.

ფესტივალს დახმარება გაუწია ასევე ხარაგაულის საკრებულოს თავჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ, რომელმაც ქუთაისის საბავშვო თეატრიდან („მოდუსი“), ბავშვებისათვის საყვარელი ზღაპრის გმირების ფორმების ტრანსპორტირება დაფინანსა.

დღის დასასრულს კინოთეატრში აღსაზრდელებისთვის სპექტაკლი „წითელქუდა“ ჩატარდა, რომელიც ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა წარმოადგინა (რეჟისორი ქალბატონი ირინე ჩხეიძე) .

2017-2018 წლების სასწავლო წლის დასასრული ხარაგაულის საბავშვო ბაღების ბავშვებისთვის ნამდვილად განსხვავებული და სიურპრიზებით აღსავსე აღმოჩნდა. კინოთეატრში გამართულ ღონისძიებას ხარაგაულის მერი ნიკოლოზ თოფურიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ლელა გუგულაშვილი

სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის ორგანიზებით საოჯახო სპარტაკიადა ჩატარდა

ა (ა) იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის" ორგანიზებით (დირექტორი გრიგოლ ჭიპაშვილი) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის პირველობა ჩატარდა საოჯახო სპარტაკიადაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო შვიდმა ოჯახმა. შეჯიბრი მეტად საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა.

ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

პირველი ადგილი- ბესო ბლუაშვილის ოჯახი(ვახანი) ;

მეორე ადგილი -ვინერი შარიქაძის ოჯახი (ხიდარი);

მესამე ადგილი- ვლადიმერ მაღრაძის ოჯახი (ლეღვანი).

სპარტაკიადაში მონაწილე ყველა ოჯახი ფასიანი საჩუქრებითა და სიგელებით დაჯილდოვდა.

ხარაგაულის სპორტულ დარბაზში თამაზ გიორგაძის ხსოვნის ტურნირი ჩატარდა

21 ივნისს ხარაგაულის სპორტულ დარბაზში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში თამაზ გიორგაძის ხსოვნის ტურნირი ჩატარდა. შეჯიბრში მონაწილეობას ღებულობდნენ 2008-2009 წწ. დაბადებული მოზარდები. ხარაგაულელების გარდა ტურნირში ჩართულნი იყვნენ ხაშურის, ბორჯომის, ჭიათურის, ბაღდათისა და თერჯოლის გუნდები. ხარაგაულიდან პრიზიორები გახდნენ:

გიორგი ოკრიბელაშვილი პირველი ადგილი(35კგ);

ვახო ნიქაბაძე პირველი ადგილი (44კგ);

ტარიელ ჭიჭინაძე მე-2 ადგილი (23კგ);

გიორგი კვაშილავა მე-2 ადგილი (20კგ);

ნიკოლოზ გოგოლაძე მე-2 ადგილი (41კგ);

ნიკოლოზ ოკრიბელაშვილი მე-3 ადგილი (50 კგ);

გიორგი ჭუბაბრია მე-3 ადგილი(23კგ).

შეგახსნებთ, რომ ტურნირი „ხარაგაულის სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ (დირექტორი გრიგოლ ჭიპაშვილი) ინიცატივით ჩატარდა. გუნდი შეჯიბრისთვის მოამზადა მწვრთნელმა ვეფხია გამრეკელაშვილმა.

სპეციალური მასწავლებლები მასწავლებლის სტატუსით ისარგებლებენ

საქართველოს პარლამენტმა ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილება მიიღო, რომლის ფარგლებში ინკლუზიურ განათლებაში განვითარების მიზნით მნიშვნელოვანი სიახლეები განხორციელდა. კერძოდ: სპეციალური მასწავლებელი გახდა მასწავლებელი; სისტემამ აღიარა ალტერნატიული და გაფართოებული სასწავლო გეგმები; სპეციალურ სკოლებს შეეცვალა სტატუსი და გახდა რესურს სკოლები; გაჩნდა ინტეგრირებული და სპეციალიზებული კლასების ტერმინთა განმარტებები;

კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე ინკლუზიურ განათლებაში დასაქმებული სპეციალისტები სისტემამ აღიარა მასწავლებლად. მათი სამუშაო დატვირთვა და სახელფასო განაკვეთი გაუთანაბრდება მასწავლებლისას, პარალელურად მიმდინარეობს და დამტკიცდება სპეციალური მასწავლებლის დაფინანსების წესი და პროფესიული განვითარების სქემა, რაც მათ პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის საშუალებას მისცემს.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12